პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა

წინამდებარე პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა, შემდგომში ,,პოლიტიკა“ წარმოადგენს დოკუმენტს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება თქვენი/მომხმარებლების მიერ მოწოდებული პირადი ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება https://adati.ge -ის მიერ.

ჩვენ ვაფასებთ ჩვენს ვებგვერდზე- https://adati.ge თქვენს ვიზიტს და იმ ინტერესს, რომელსაც ჩვენი სერვისების მიმართ იჩენთ და ვზრუნავთ თქვენი/მომხმარებლის ინტერესების დაცვაზე, თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის უსაფრთხოებაზე.

ვებგვერდით სარგებლობისას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკით, რომელიც თავის მხრივ შემუშავებულია ჩვენ მიერ დამტკიცებული „ზოგადი დებულებები: წესები და პირობები“ საფუძველზე.

წესების და პირობების თანხმობის („ვეთანხმები“-ს) ელექტრონულად მონიშვნით/აღიარებით თქვენ ადასტურებთ, რომ ამავდროულად ეთანხმებით წინამდებარე პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკას, თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს ზუსტ და უტყუარ მონაცემებს. ინფორმაციის მოწოდება მოხდა თქვენი საკუთარი სურვილით და ამისათვის თქვენ გაგაჩნიათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და ნებართვა.

მონაცემთა დაცვის პოლიტიკის გავრცელების სფერო

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება ჩვენს მომხმარებლებზე

ტერმინთა განმარტება

პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

როგორ ვაგროვებთ თქვენს მონაცემებს?

თქვენ შესახებ პერსონალური ინფორმაციის შეგროვება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ თქვენვე მომართვის საფუძველზე. როდესაც თქვენ ჩვენი მომსახურების მიღების მიზნით https://adati.ge ვებსაიტზე რეგისტრირდებით მომხმარებლად.

მომხმარებლად რეგისტრაციის შემდეგ, ჩვენგან იღებთ მომსახურებას, ინფორმაციას სიახლეებზე, გამაფრთხილებელ შეტყობინებებს, სარგებლობთ ჩვენი ქსელით ნახულობთ ან ათვალიერებთ ჩვენ ვებგვერდებს

ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ჩვენ უფლება გვაქვს, გამოვიყენოთ თქვენი პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის კონკრეტული სახელშეკრულებო, ან/და კანონისმიერი საფუძველი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩვენ:

- ვიცავთ თქვენი მონაცემების კონფიდენციალურობას;
- თქვენგან/მომხმარებლისგან მიღებულ პერსონალურ მონაცემებს ვიყენებთ ლეგიტიმურად;
- თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, გაწვდით სრულ და დეტალურ ინფორმაციას თქვენი

პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ

იმისათვის რომ მოხდეს თქვენი ,,მომხმარებლად“ რეგისტრაცია და ისარგებლოთ https://adati.ge შემოთავაზებული მომსახურებით, კომპანიისთვის ხდება შემდეგი სახის ინფორმაციის მიწოდება:

<u>საიდენტიფიკაციო მონაცემები</u>

ფიზიკური პირის მომხმარებლად რეგისტრაციის შემთხვევაში: სახელი, გვარი

<u>საკონტაქტო მონაცემები</u>

ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი და სხვა;

<u>ტექნოლოგიური მოწყობილობის შესახებ მონაცემები</u>

IP მისამართი, მზა ჩანაწერები (cookies), აპლიკაციის ლოგები, ქცევითი მონაცემები, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ და სხვა;)

<u>კომუნიკაციისას მოპოვებული მონაცემები</u>

ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო გზით, ჩათის, სოციალური მედიის ან სხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მოპოვებული მონაცემები;

<u>ღია წვდომის მონაცემები და საჯარო ჩანაწერები</u>

საჯარო წყაროებში თქვენს შესახებ არსებული ინფორმაცია.

თქვენი პერსონალური ინფორმაციის გამოყენება სამართლებრივი საფუძველი:

- თქვენი წერილობითი თანხმობა;
- სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება;
- ჩვენი კანონიერი ინტერესები;
- ჩვენი კანონიერი მოვალეობა.

რისთვის ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

- თქვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ჩვენს მიერ ნაკისრი უფლებების და ვალდებულებების განხორციელებისათვის;
- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა კვლევის ჩასატარებლად;
- მომსახურებასთან დაკავშირებით რჩევებისა თუ რეკომენდაციების მისაღებად;
- მომსახურების განსავითარებლად/ სამართავად;
- ჩვენი და ჩვენი მომხმარებლების რისკების სამართავად;
- ჩვენთვის რელევანტური კანონებისა და რეგულაციების შესასრულებლად;
- საჩივრებზე რეაგირების მოსახდენად და მათი მოგვარების გზების მოსაძიებლად;
- ჩვენი მომსახურების მონაცემთა განახლება, თქვენთვის საინტერსო პროდუქტებისა და

მომსახურების იდენტიფიცირება და თქვენთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

ჩვენი მხრიდან შეგროვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია კონფიდენციალურია. მისი მესამე პირებზე გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით

ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები:

- მომხმარებელთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ეფექტურად შესრულების ან/და მომხმარებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;
- ჩვენი მომსახურების მონაცემთა განახლება, თქვენთვის საინტერსო პროდუქტებისა და მომსახურების იდენტიფიცირება და თქვენთვის შესაბამისი ინფორმაციის მოწოდება, რაც გულისხმობს https://adati.ge -სმიერ სხვადასხვა პროდუქტის/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას, მარკეტინგული აქტივობების შემუშავებას/დაგეგმვას.
- ჩვენი კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და რეპორტების

მოსამზადებლად;

- მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ჩვენი კანონისმიერი ვალდებულებების შესასრულებლად,
- თქვენთვის/ მომხმარებლებისათვის შესაბამისი კორესპონდენციის/შეტყობინების გაგზავნის/ჩაბარების მიზნით;

წყაროები, საიდანაც მოვიპოვებთ პერსონალურ მონაცემებს

თქვენს შესახებ პერსონალური ინფორმაციის მოპოვება შეგვიძლია ჩვენთვის თქვენ მიერ მოწოდებული და ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან. თქვენგან მონაცემებს ვიღებთ შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც ხდებით ჩვენი მომხმარებელი;
- რეგისტრირდებით ჩვენს ონლაინ სერვისებზე;
- როდესაც იყენებთ ჩვენ პროდუქტებსა თუ მომსახურებებს;
- გვესაუბრებით ტელეფონით ან განახორციელებთ ვიზიტს ჩვენს ფილიალში;
- იყენებთ ჩვენს საიტს და ონლაინ საკონსულტაციო ფუნქციონალს (ონლაინ ჩეთს)(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გვიგზავნით წერილებს ფოსტით ან ელ. ფოსტით;
- სარგებლობთ ჩვენი ან ჩვენთან დაკავშირებული მომსახურებით;

„მზა ჩანაწერები“ (cookies)

ჩვენ ვცდილობთ ჩვენს ვებ-გვერდზე ყოფნისას მუდმივად გაგიუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი და გამოცდილება და დავიცვათ თქვენი უსაფრთხოება. შესაბამისად, ჩვენი ვებ-გვერდითა და სხვა დისტანციური პლატფორმებით სარგებლობისას ჩვენ ვაგროვებთ ე.წ. მზა ჩანაწერებს თქვენს შესახებ.

cookies გამოიყენება ვებ-გვერდით სარგებლობისას თქვენი გამოცდილების პერსონალიზირების, გაუმჯობესების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ვცდილობთ გავიგოთ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს ვებ-გვერდს.

ჩვენს ვებ-გვერდზე ვიზიტისას თქვენ გაქვთ შესაძლებლობა დაეთანხმოთ/არ დაეთანხმოთ მზა ჩანაწერების გამოყენებას ან/და მართოთ თქვენი სურვილის შესაბამისად მზა ჩანაწერების გამოყენების მიზნობრიობა (მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ, არ დაეთანხმოთ მზა ჩანაწერების გამოყენებას ანალიტიკური ან/და მარკეტინგული მიზნებით).

მონაცემების შენახვის ვადები და თქვენი მონაცემების უსაფრთხოება ჩვენი ვებ გვერდით სარგებლობისას

თქვენს პირად მონაცემებს ვინახავთ თქვენი მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ჩვენ ვცდილობთ ჩვენს ვებ-გვერდზე ყოფნისას მუდმივად გაგიუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი და გამოცდილება და დავიცვათ თქვენი უსაფრთხოება. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, უფლებამოსილი ვართ გავაკონტროლოთ მომხმარებელთა ქცევა ჩვენი ვებ გვერდით სარგებლობისას. მონიტორინგი არ გულისხმობს პერსონალური

/კონფიდენციალური/ კომერციული ინფორმაციის შეგროვებას ან სხვაგვარად დამუშავებას. მონიტორინგის მიზანია მომხმარებელთა ზოგადი აქტივობის შესწავლა.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წვდომა აქვთ ორგანიზაციის მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომელთაც აღნიშნული ესაჭიროებათ მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

ვებგვერდზე მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებულია შესაბამისი ორგანიზაციულტექნიკური ზომები (მათ შორის, შეღწევადობის ტესტირებები,

ვებგვერდის მომხმარებელთა უფლებები

ვებგვერდის მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს და უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

- მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება;
- იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;
- მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;
- გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები,
- მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დაბლოკვა,
- დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;
- გამოიხმოს თანხმობა - განმარტების გარეშე ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი მის მიერ მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება (თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი); -
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააასაჩივროს - თუ მიიჩნევს, რომ ჩვენს მიერ მონაცემთა დამუშავება არ შეესაბამება კანონით დადგენილ წესებს.

ვებგვერდის მომხმარებლის უფლებების შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვებგვერდის მომხმარებლის ზემოაღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები,

ვებგვერდის მომხმარებლის უფლების შეზღუდვისათვის გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

უფლების შეზღუდვის საფუძვლების არსებობისას, ჩვენი გადაწყვეტილება ვებგვერდის მომხმარებელს ეცნობება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

ვებგვერდით მოწოდებული პერსონალური მონაცემების წაშლისათვის, გთხოვთ, მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე: https://adati.ge

https://adati.ge და მისი ადმინისტრაცია არ არის პასუხისმგებელი პლატფორმის საშუალებით მომხმარებლის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე; იგი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მომხმარებლის ნებისმიერ ქმედებას, მომხმარებლის მიერ რომელიმე ხელშეკრულების, მათ შორის ამ წესებისა და პირობების დარღვევას, მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შეუსაბამობას და ა.შ. იგი არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ არანაირ ზიანზე.

მომხმარებელი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას მისი ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე.

პოლიტიკის განახლება და დამატებითი ინფორმაცია

პოლიტიკის ეს დოკუმენტი ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას. ინფორმაციის დაცვის პოლიტიკაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება ჩვენს ვებგვერდზე https://adati.ge

პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის თაობაზე, ჩვენს საერთო უფლება-მოვალეობებთან ან ჩვენ მიერ თქვენი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით არსებული შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით:

Facebook: Adati.ge

ტელ: 500701744

ელ. ფოსტა: adati.team@gmail.com